ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1112317

ნომერი: AR1194642

თარიღი : 04.02.2014

გაცემის თარიღი : 05.03.2014

გაცნობის თარიღი : 10.03.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი , ქუჩა ავჭალა , N 74 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისში, სექტორი–ზაჰესი, ზაჰესში, ავჭალის ქუჩა N74, შპს "ბეკუ"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N72.12.02.389 სამსახურის მიერ N606522 გადაწყვეტილებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად. შესაბამისად, თქვენს მიერ სამსახურში

შემოტანილია AR1193704 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის ნებართვის გაცემას, რაზედაც სამსახურმა გაგცათ შემდეგი პასუხი: „ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, საკითხის განხილვის შედეგად განმეორებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქ. თბილისში, სექტორი–ზაჰესი, ზაჰესში, ავჭალის ქუჩა #74, შპს "ბეკუ"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N72.12.02.389), 2013 წლის 19 სექტემბერს N906832 ბრძანებით შეთანხმებული სავაჭრო ობიექტის, მაღაზიიის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გასცეს მშენებლობის ნებართვა მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთის ფუნქცია სასოფლო–სამეურნეო შეიცვლება არასასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთად, რისთვისაც წარმოსადგენი გექნებათ განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მოცემული მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვოთ შესაბამისი ცვლილების განხორციელება და განაახლოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთს არ ესაჭიროება ფუნქციური ზონის ცვლილება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.